ხელშეკრულება № 1

ქ. ამბროლაური 01 თებერვალი 2024 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, (ს/კ 222938490 ქ.ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქუჩა N11) წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით (შემდგომში ,,მერია") და მეორე მხრივ ა(ა)იპ რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი (შშმ და სსმ პირთა დღის საგანმანათლებლო ცენტრი ,,ბაო") წარმოდგენილი ნინო სოხაძის სახით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე შშმ და სსმ პირთა დღის საგანმანათლებლო ცენტრ ,,ბაო"-ს მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სსმ სტატუსის მქონე ბავშვთა (5 ბავშვი) მომსახურების დაფინანსება 3 000 (სამი ათასი) ლარის ფარგლებში.

მუხლი 2 . თანხის მოცულობა და ანგარიშსწორების წესი

2.1 ორგანიზაციისთვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრება იმავე წლის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით, შესაბამისი პროგრამული კოდიდან 3 000 (სამი ათასი) ლარით.
2.2 ორგანიზაციისთვის თანხების გადარიცხვა განხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებული ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამა და ბენეფიტის გაცემის წესის მე-8 მუხლის - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრუნვის ხელშეწყობა", მე-4 პუნქტის ფარგლებში და დაფინანსება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრს -,,ბაო", სსმ ბავშვთა მომსახურების მიზნით.
2.3 თანხა გაიცემა ა(ა)იპ რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრის (დღის ცენტრი ,,ბაო") მიერ თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის და მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ყოველი თვის ბოლოს.
2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის უფლებები და ვალდებულებები

3.1. მუნიციპალიტეტი ვალდებულია:
3.1.1 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული კოდიდან, ა(ა)იპ რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრის მიერ, ყოველი თვის ბოლოს თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურიდან წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა შესაბამისი ორგანიზაციის ანგარიშზე.
3.1.2 მერია იღებს ვალდებულებას ხარჯები აანაზღაუროს 2024 წლის 01 იანვრიდან.
3.1.3. მონიტორინგი გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ხარჯვას.
3.1.4. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
3.2. უფლება აქვს:
3.2.1 მოსთხოვოს ორგანიზაციის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში უზრუნველყოს ხარჯვის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა ყოველთვიურად, ანგარიშის სახით.
3.2.2. კალენდარული წლის ნებისმიერ პერიოდში მოითხოვოს პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.2.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, არ გადარიცხოს მომსახურების თანხა ორგანიზაციის ანგარიშზე.

მუხლი 4. ორგანიზაციის უფლებები და ვალდებულებები

4.1 ორგანიზაცია ვალდებულია:

4.1.1 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ყოველი თვის ბოლოს უზრუნველყოს გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა, ანგარიშის სახით.

4.1.2 მკაცრად დაიცვას შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები და მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში კალენდარული წლის ნებისმიერ პერიოდში უზრუნველყოს პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშის 10 სამუშაო დღის ვადში წარდგენა.

4.2. უფლება აქვს:

4.2.1. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

მუხლი 5 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 6 დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

6.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად იქნება მიჩნეული, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორ) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად რომელიც ინახება ამ ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 7 მხარეთა რეკვიზიტები

პირველი მხარე	**მეორე მხარე**
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	ა(ა)იპ რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის **თვითმმართველობის რესურს ცენტრი**
ს/კ 222938490	ს/კ222940352
GE24NB0330100200165022	GE81LB0115125373011002
----------	----------
ზვიადი მხეიძე	ნინო სოხაძე